დანართი 1

დამტკიცებულია: შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მმართველი
საბჭოს დადგენილება #24, 19/06/2024

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის

სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხოების და სანიტარული ნორმის დაცვის წესი

თბილისი
2024

<u>შინაარსი</u>

თავი I.	ზოგადი დებულებები	3
მუხლი 1.	მიზანი და მოქმედების ფარგლები	3
მუხლი 2.	ტერმინთა განმარტებები	3
მუხლი 3.	შრომის უსაფრთხოების სამსახურის ამოცანები და ფუქნციები	4
თავი II.	უსაფრთხოების წესები	5
მუხლი 4.	ქცევის წესები	5
მუხლი 5.	თამბაქოს საწინააღმდეგო პოლიტიკა	5
მუხლი 6.	ელექტროუსაფრთხოება	6
მუხლი 7.	შესყიდვა	6
მუხლი 8.	მესამე პირები	7
მუხლი 9.	გარე მომსახურება	7
მუხლი 10.	უსაფრთხოების წესების დაცვა უნივერსიტეტის გარეთ განხორციელებული აქტივობების დროს	7
მუხლი 11.	სამუშაო ადგილის დასუფთავება და სანიტარული ნორმების დაცვა	7
მუხლი 12.	ხანძრის დროს:	8
მუხლი 13.	ევაკუაცია	8
თავი III.	დასკვნითი დებულებები	9
მუხლი 14.	ძალაში შესვლა	9
მუხლი 15.	შესრულებაზე ზედამხედველობა	9

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. მიზანი და მოქმედების ფარგლები

1.1. წინამდებარე დოკუმენტის მიზანია, შპს ,,შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ ტერიტორიაზე ისეთი ზოგადი საორგანიზაციო ხასიათის აქტივობების განხორციელება, რომლებიც სტუდენტებს, თანამშრომლებსა და მესამე პირებს დაიცავს ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის პროცესებისაგან. აგრეთვე უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილების, მისი განვითარების შემთხვევაში შედეგების შერბილებისა და ლიკვიდაციის ღონისძიებების განხორციელებას.

1.2. წინამდებარე დოკუმენტი შემუშავებულია „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და ,,სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე და განსაზღვრავს საგანგებო სიტუაციის დროს საჭირო მოქმედებებსა და მათი განხორციელების გზებს.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

2.1. **უნივერსიტეტი** - შპს ,,შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი“;

2.2. **სტუდენტი** – უნივერსიტეტის აკადემიური, მოსამზადებელი კურსის და სასერტიფიკატო კურსის სტუდენტი;

2.3. **თანამშრომელი** – უნივერსიტეტთან შრომით ურთიერთობაში მყოფი ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალი;

2.4. **მესამე პირი** – უნივერსიტეტის ტერიტორიაზე მყოფი ფიზიკური პირი, რომელიც არ არის უნივერსიტეტის სტუდენტი და/ან თანამშრომელი;

2.5. **საგანგებო სიტუაცია** – უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ისეთი კრიზისული ვითარება, რომელიც ხასიათდება სტუდენტთა, თანამშრომელთა და მესამე პირთა ჩვეული საქმიანობის დარღვევით, გამოწვეულია კატასტროფით, ხანძრით, სტიქიური უბედურებით, ეპიდემიით და რომელიც საფრთხეს უქმნის ან/და შეიძლება საფრთხე შეუქმნას სტუდენტთა, თანამშრომელთა, მესამე პირთა სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას, იწვევს ან შეიძლება გამოიწვიოს მსხვერპლი, ადამიანთა დაშავება ან/და მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

2.6. **საგანგებო სიტუაციის ზონა** – განსაზღვრული ტერიტორია, სადაც წარმოიქმნა საგანგებო სიტუაცია.

2.7. **საგანგებო სიტუაციის რისკი** – საგანგებო სიტუაციის წარმოქმნის შესაძლებლობა, რომელიც განისაზღვრება საფრთხის წინაშე მდგარი

ადამიანის სიცოცხლეზე, ჯანმრთელობასა და ქონებაზე, აგრეთვე გარემოზე უარყოფითი ზემოქმედებითა და შედეგებით.

2.8. **საგანგებო სიტუაციის რისკის შეფასება** – პოტენციური საფრთხის ანალიზისა და არსებული მოწყვლადობის შეფასებით მოსალოდნელი საგანგებო სიტუაციის ხასიათისა და მასშტაბის, საფრთხის წინაშე მდგარი ადამიანის სიცოცხლეზე, ჯანმრთელობასა და ქონებაზე, აგრეთვე გარემოზე უარყოფითი ზემოქმედებისა და შედეგების მაჩვენებლების განსაზღვრის პროცესი.

2.9. **საგანგებო სიტუაციებზე რეაგირება და მათი შედეგების ლიკვიდაცია** – საგანგებო სიტუაციებზე შრომის უსაფრთხოების სამსახურის მიერ ადამიანის სიცოცხლის გადარჩენის, მისი ჯანმრთელობის შენარჩუნების, მატერიალური ზიანისა და გარემოს დაზიანების შემცირების, აგრეთვე საგანგებო სიტუაციის ზონის ლოკალიზების მიზნით ამ ზონაში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ხანძრის ჩაქრობა, გავლილი ინსტრუქტაჟის მიხედვით. ვითარების შესწავლა-შეფასება, საავარიო-სამაშველო სამუშაოებისა და სხვა გადაუდებელი სამუშაოების ჩატარება.

2.10. **სამაშველო სამუშაოები** – მოქმედებები, რომლებიც ხორციელდება ინციდენტის ან საგანგებო სიტუაციის დროს ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ქონების გადასარჩენად.

2.11. **სხვა გადაუდებელი სამუშაოები** – სასწრაფო-სამედიცინო და სხვა გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა, სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური ღონისძიებების განხორციელება, ტერიტორიის სანიტარიული გაწმენდა და დეკონტამინაცია, საგანგებო სიტუაციის ზონაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა.

მუხლი 3. შრომის უსაფრთხოების სამსახურის ამოცანები და ფუქნციები

3.1. უსაფრთხოების სამსახურის ძირითადი ამოცანაა, უნივერსიტეტის სრულ ტერიტორიაზე, სასწავლო კორპუსში, ეზოში და მის მიმდებარედ წესრიგის და უნივერსიტეტის კუთვნილი მატერიალური ქონების დაცვა, შრომის უსაფრთხოებისა და სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

3.2. შრომის უსაფრთხოების სამსახურის ფუქნციებია:

3.2.1.საგანგებო სიტუაციის რისკის იდენტიფიცირება და შეფასება;

3.2.2.საგანგებო სიტუაციებზე რეაგირება და მათი შედეგების ლიკვიდაცია;

3.2.3.საგანგებო სიტუაციის ზონაში აღდგენითი სამუშაოების, სამაშველო სამუშაოების და სხვა გადაუდებელი სამუშაოების განხორციელება, აგრეთვე მსგავსი ტიპის სამუშაოების განსახორციელებლად შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებთან დაკავშირება.

3.2.4.შესაბამისი თანამშრომლებისათვის უსაფრთხოების მოწყობილობების ადვილად ხელმისაწვდომის უზრუნველყოფა;

3.2.5. საჭიროების შემთხვევაში, სამუშაო ადგილებზე გამაფრთხილებელი ნიშნების მოთავსება, ხოლო საფრთხის შემცველი ტერიტორიის შესასვლელთან - შესვლაზე შეზღუდვის/აკრძალვის ნიშნების მოთავსება.

3.2.6. წესრიგის დამრღვევი პირის მიმართ შესაბამისი ღონისძიების გამოყენება, თუ იგი არ ემორჩილება უნივერსიტეტის შინაგანაწესით და დებულებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, საჭიროების შემთხვევაში დახმარებისათვის მიმართოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციული თანამდებობის პირებს, საპატრულო პოლიციას ან სხვა შესაბამის სახელმწიფო უწყებას;

3.2.7. კომპეტენციის ფარგლებში უნივერსიტეტის შენობისა და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების დაცვა;

3.2.8. „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ ორგანული კანონით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების განხორციელება;

3.2.9. ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვაზე ზედამხედველობა;

3.2.10. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის დახმარების უზრუნველყოფა;

3.2.11. უნივერსიტეტის ტერიტორიაზე უსაფრთხოების შენარჩუნების და დაცვის მიზნით გეგმური და არაგეგმური სამუშაოების ჩატარება;

თავი II. უსაფრთხოების წესები

მუხლი 4. ქცევის წესები

4.1. თანამშრომელთა მიერ სამუშაო ადგილზე დაცული უნდა იყოს შემდეგი წესები:

4.1.1. პოტენციური საფრთხის შემცველ ადგილებზე გაუფრთხილებელი მოქმედებებისა და სირბილისგან თავშეკავება;

4.1.2. შესაბამისი თანამშრომლების მიერ სამუშაო ინვენტარის გამოყენების, შენახვისა და შეკეთებისას, უსაფრთოხების წესების დაცვა;

მუხლი 5. თამბაქოს საწინააღმდეგო პოლიტიკა

5.1. უნივერსიტეტის შენობასა და ეზოში (გარდა მწეველთა სივრცისა) დაუშვებელია თამბაქოს/ელექტრონული სიგარეტის გამოყენება. თამბაქოს

მოწევის/ელექტრონული სიგარეტის მოხმარების აკრძალვის შესახებ შენობაში და შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებულია შესაბამისი აბრები. აკრძალვა ეხება სტუდენტებს, თანამშრომლებს და მესამე პირებს. უნივერსიტეტის ტერიტორიაზე აკრძალულია თამბაქოს რეკლამირება, გავრცელება, სპონსორობა და თამბაქოსთან დაკავშირებული სხვა პირდაპირი თუ არაპირდაპირი აქტივობები. უნივერსიტეტის ტერიტორიაზე მოწყობილია სპეციალური მწეველთა სივრცე, სადაც დაშვებულია თამბაქოს/ელექტრონული სიგარეტის მოხმარება.

5.2. თამბაქოს/ელექტრონული სიგარეტის მოხმარებისთვის გათვალისწინებული მოთხოვნის დარღვევისათვის ადმინისტრაცია უფლებამოსილია გამოიყენოს შესაბამისი პასუხისმგებლობის ზომა;

5.3. უნივერსიტეტის ტერიტორიაზე არამწეველთა სივრცეში თამბაქოს მოხმარება გამოიწვევს უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის, ადმინისტრაციული, დამხმარე, აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობას, რომელიც გათვალისწინებულია უნივერსიტეტში მოქმედი ნორმატიული აქტებით.

მუხლი 6. ელექტროუსაფრთხოება

6.1. უნივერსიტეტის ტერიტორიაზე გამოყენებული ელექტრონული მოწყობილობა უნდა იყოს შემოწმებული და უნდა შეესაბამებოდეს განსაზღვრულ ტექნიკურ სტანდარტს, რომელზეც პასუხისმგებელია უნივერსიტეტში დასაქმებული სერთიფიცირებული ელექტრიკოსი.

6.2. უნივერსიტეტის თანამშრომლებმა ელექტრონული ხელსაწყობის გამოყენებისას უნდა დაიცვან უსაფრთხოების წესები.

მუხლი 7. შესყიდვა

7.1. სამუშაო ადგილისათვის შეძენილი ინვენტარი/მოწყობილობა ან/და ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობისთვის საჭირო მასალა უნდა შეესაბამებოდეს უსაფრთხოების წესებს. მხოლოდ იმ ინვენტარის/ მოწყობილობის გამოყენებაა შესაძლებელი, რომელიც არის უსაფრთხო. შესყიდვების სამსახური, რომელიც იძენს ხელსაწყოს/ინვენტარს, უნდა დარწმუნდეს, რომ მისი გამოყენება არ არის დაკავშირებული რისკებთან/ არ არის საფრთხის შემცველი.

მუხლი 8. მესამე პირები

8.1. მესამე პირთა მიერ ისეთ ადგილებში შესვლა, სადაც შესვლა შეზღუდულია, დასაშვებია, თუ ეს გამომდინარეობს სამუშაოს ხასიათიდან/საჭიროებიდან და ასეთი შესვლა საფრთხეს არ შეუქმნის მესამე პირის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

მუხლი 9. გარე მომსახურება

9.1. შენობის დაგეგმვის, შეკეთების, მცენარეთა დარგვის, დამონტაჟებისა და სხვა მსგავსი ტიპის სამუშაოები, რომლებიც შესაძლებელია ხორციელდებოდეს გარე მომსახურებით, უნდა მიმდინარეობდეს უნივერსიტეტის შესაბამისი პირის მეთვალყურეობის ქვეშ, რათა დაცული იყოს ამ პირთა შრომის უსაფრთხოება.

მუხლი 10. უსაფრთხოების წესების დაცვა უნივერსიტეტის გარეთ განხორციელებული აქტივობების დროს

10.1. უნივერსიტეტის ტერიტორიის გარეთ შესაძლოა განხორციელდეს საველე სამუშაოები. სტუდენტები, თანამშრომლები და მესამე პირები ვალდებულები არიან, შეაფასონ რისკები და, საჭიროების შემთხვევაში, მიიღონ შესაბამისი ზომები.

მუხლი 11. სამუშაო ადგილის დასუფთავება და სანიტარული ნორმების დაცვა

11.1. სამუშაო ადგილის სისტემატიური დალაგება ხშირ შემთხვევაში უზრუნველყოფს ფიზიკური დაზიანების თავიდან აცილებას. სამუშაო ადგილის დასუფთავება მოიცავს ისეთ ქმედებებს როგორიცაა:

11.1.1. იატაკების სუფთა და მშრალ მდგომარეობაში ყოფნა;

11.1.2. კარების სახელურებისა და ონკანის სახელურების ყოველკვირეული წმენდა;

11.1.3. ნაგვის ყოველდღიური გადაყრა;

11.1.4. სამუშაო ადგილის სუფთა მდგომარეობაში შენარჩუნება, საფრთხისშემცველი მასალებისა და ინვენტარის შენახვა;

11.1.5. გასასვლელებისა და პირველადი დახმარებისათვის აუცილებელი საშუალებების ხელმისაწვდომობა და მათი დაბრკოლებებისაგან გათავისუფლება;

11.1.6. მინისა და ადვილადმტვრევადი, მჭრელი საგნების იატაკიდან დროულად აღება;

11.1.7. გარე მომსახურების განმახორციელებელი პირებისათვის ადვილად აალებადი საგნებისა და საფრთხის შემცველი ადგილების შესახებ ინფორმაციის მიწოდება;

11.1.8. საწმენდი საშუალებების უსაფრთხო ადგილას შენახვა;

11.1.9. სამუშაო ადგილის ბოლოს დატოვების შემთხვევაში, ყველა ხელსაწყოს გამორთვა/უსაფრთხო რეჟიმზე გადაყვანა;

11.1.10. წელიწადში არანაკლებ ერთხელ უნივერსიტეტში სადეზინფექციო და სადერატიზაციო სამუშაოების განხორციელება;

მუხლი 12. ხანძრის დროს:

12.1. განგაშის სიგნალისას სავალდებულოა:

12.1.1. ხანძარში მოხვედრილი ყველა პირის უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

12.1.2. საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის ცხელ ხაზზე (112) დარეკვა და შემდეგი ინფორმაციის მითითება: ზარის განმახორციელებელი პირის სახელი, გვარი, მისამართი, ხანძრის/კვამლი წარმოშობის მიზეზი და გავრცელების არეალი. შესაძლებლობის შემთხვევაში - არსებული ვითარების შესახებ უშუალო უფროსისა ან/და დაცვის სამსახურის ინფორმირება;

12.1.3. შრომის უსაფრთხოების სამსახურთან დაკავშირება;

12.2. ხანძრის ჩაქრობის შესაძლებლობა არსებობს იმ შემთხვევაში, თუ ვითარება უსაფრთხოა და პირს გავლილი აქვს შესაბამისი სწავლება სახანძრო ინვენტარის გამოყენებაში. ხანძრის ჩაქრობისას დაუშვებელია სახანძრო შლანგის ხვეულას, წყლის ან ქაფის გამოყენება ელექტროენერგიის შედეგად გაჩენილ ხანძარზე.

მუხლი 13. ევაკუაცია

13.1. შენობის ევაკუაცია უნდა განხორციელდეს ევაკუაციის გეგმის შესაბამისად:

13.1.1. ევაკუაციისას უნდა მოხდეს უახლოეს გასასვლელამდე მისვლა;

13.1.2. ევაკუაციისას დაუშვებელია ლიფტის გამოყენება;

13.1.3. გასვლისას აუცილებელია კარების დახურვა (მაგრამ არა ჩაკეტვა), კარების, ფანჯრების, განათების ჩართულ მდგომაროეობაში დატოვება და ხანძრის დროს ევაკუაციისთვის დადგენილი წესების სრული დაცვა.

13.2. შენობიდან გამოსვლის შემდეგ დაუშვებელია შენობაში შესვლა მანამ, სანამ შრომის უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელი არ განაცხადებს შესვლის უსაფრთხოობის თაობაზე.

13.3. სიმულაციური/საევაკუაციო გასვლა უნივერსიტეტში უნდა განხორციელდეს წელიწადში არანაკლებ ერთხელ როგორც თანამშრომლებისთვის, ასევე სტუდენტებისთვის.

13.4. შრომის უსაფრთხოების მიმართულებით უნივერსიტეტმა თანამშრომელთათვის სწავლების (ტრენინგების) ჩატარება უნდა უზრუნველყოს:

ა) დასაქმებულების დაქირავებისას, მათ მიერ სამუშაოს შესრულების დაწყებამდე;

ბ) დასაქმებულთა სხვა სამუშაო ადგილზე გადაყვანისას/სამუშაოს შეცვლისას;

გ) ახალი ტექნოლოგიური პროცესისა და სამუშაო მეთოდების დანერგვამდე, ახალი მანქანა-დანადგარების გამოყენების ან/და საწარმოო პროცესის ცვლილების დაწყებამდე;

დ) განმეორებით, თავის მიერ განსაზღვრული გეგმის შესაბამისად ან საჭიროების მიხედვით, „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით.

13.5. ყოველ აკადემიურ წელს ელექტრონული საშუალებით სტუდენტებს უნდა მიეწოდოთ ინფორმაცია შრომის უსაფრთხოების წესებისა და მათი დაცვის თაობაზე.

თავი III. დასკვნითი დებულებები

მუხლი 14. ძალაში შესვლა

14.1. წინამდებარე წესი ძალაში შედის მმართველი საბჭოს მიერ დამტკიცებისთანავე. ნებისმიერი სახის ცვლილება ან დამატება წინამდებარე დოკუმენტში შედის მისი მიღებისათვის დადგენილი წესით.

მუხლი 15. შესრულებაზე ზედამხედველობა

15.1. წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული წესების შესრულებაზე ზედამხედველობა განხორციელდება შესყიდვებისა და ლოგისტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელის მიერ.